



სარჩელის რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__/__

კონსტიტუციური სარჩელი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული დამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის თაობაზე
(„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

კონსტიტუციური სარჩელის ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: const@constcourt.ge; ვებგვერდი: www.constcourt.ge.

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილია დგილი არიქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმას დაანომრეთ.

I. ფორმალური ნაწილი

1. მხარეთარეკვიზიტები

1.1 მოსარჩელე/მოსარჩელები

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	204569617	ქ. თბილისი, ა. გრიბოედოვის ქ. N3
--	-----------	-------------------------------------

სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	+99532 2 921514	info@idfi.ge

ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
------------------------	----------	-------------------

1.2 მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები

გიორგი დავითური	06001007890	თბილისი, რომან ჭელიძის 1-ლი შესახვევი, N2
-----------------	-------------	--

სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	+995 599 000 246	g.davituri@idfi.ge

ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა
------------------------	----------	-------------------

1.3. მოპასუხე/მოპასუხეები

საქართველოს პარლამენტი	ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. 26	032 2 28 90 06
------------------------	----------------------------	----------------

სახელწოდება	მისამართი	ტელეფონი
-------------	-----------	----------

2. სადავო ნორმატიული აქტი

ა) აქტის დასახელება

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

მიმღების/გამომცემის დასახელება	მიღების/ გამოცემის თარიღი
--------------------------------	---------------------------

1. საქართველოს პარლამენტი	1. 25 ივნისი 1999
2. საქართველოს პარლამენტი	2. 28 დეკემბერი 2011

ბ) სადავო ნორმა/ნორმები [შენიშვნა1](#)

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი, 44-ე მუხლის პირველი ნაწილი

2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი;

შენიშვნა 1- გთხოვთ, მიუთითოთ ნორმატიული აქტის კონკრეტულად რომელ ნაწილს – პრეამბულას, კარს (წიგნს), თავს, მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტს, წინადადებას (სასვენიშნო ან/და კავშირს) ან/და სიტყვას ხდით სადავოდ.

3. საქართველოს კონსტიტუციის დებულება (დებულებანი), რომელსაც ეწინააღმდეგება სადავო ნორმატიული აქტი.

ა) გთხოვთ, მიუთითოთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი ან/და წინადადება. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმების შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. [შენიშვნა 2](#)

სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)	საქართველოს კონსტიტუციის დებულება
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი	საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი	საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი
„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი	საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი
„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები	საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი

4. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივი საფუძვლები: [შენიშვნა 3](#)

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი მუხლი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლი პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

შენიშვნა 2 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში მიუთითოთ კონკრეტული სადავო ნორმა და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

შენიშვნა 3- გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც უფლებას გაძლევთ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

II.სარჩელისსაფუძვლიანობა, მოთხოვნისარსიდადასაბუთება

1.განმარტებები სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასაბუთოთ, რომ არარსებობს თქვენი სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები.^{შენიშვნა 4}

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საფუძვლებს განსაზღვრავს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი უნდა შეესაბამებოდეს ამავე კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია მითითებული მუხლით დადგენილი ფორმის დაცვით და თან ერთვის კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ამასთან არგუმენტაცია, რომელიც ჩვენი აზრით ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას, (დასაბუთებულობა, როგორც სადავო ნორმების უფლების შემზღვევად ბუნების ისე იდენტიფიცირებულ კონსტიტუციურ უფლებებთან მათი მიმართების თაობაზე) წარმოდგენილია კონსტიტუციური სარჩელის შესაბამის ველში - მოთხოვნის არსი და დასაბუთება.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი შეტანილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ). კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, აგრეთვე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში. ამ კანონის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებული კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის უფლება აქვს, მათ შორის, „იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“.

მოსარჩელე წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც არის იდენტიფიცირებული კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი. სადავო ნორმებიდან გამომდინარე მოსარჩელე მხარე ვერ ახერხებს საერთო სასამართლოში საჯარო სხდომის შედეგად მიღებულ მართლმსაჯულების აქტების მიღებას. კერძოდ, სასამართლო, პერსონალური მონაცემების დაცვის გამო, უარს ამბობს სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემაზე, მათ შორის დაშიფრული (დეპერსონალიზებული

შენიშვნა 4 - „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ); გ) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

ფორმით) თუ ეს გამოიწვევს პირის იდენტიფიცირებას, უმნიშვნელოდ იმისა, საქმე განხილულ იქნა ღია თუ დახურულ სხდომაზე, რამდენად აქვს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს ამ მონაცემთა დაცვის გონივრული მოლოდინი და რამდენად მაღალია საჯარო ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ. **ამდენად, მოსარჩელეს ეზღუდება** სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებულ აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლება იმგვარად, რომ არ არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, კონსტიტუციური სარჩელი აკმაყოფილებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. სადავო ნორმების შემზღვეველი ბუნების შესახებ ვრცაღდ, ვისაუბრებთ მოთხოვნის არსსა და დასაბუთებაში).

კონსტიტუციური სარჩელი, აგრეთვე აკმაყოფილებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საკითხებს, ამასთან ამგვარ სასარჩელო მოთხოვნაზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია. აგრეთვე, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული საკითხები გადაწყვეტილია, მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით და, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა არ შეეხება, კანონქვემდებარე აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას სუბსიდიარობის პრობლემა არ დგას.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში შეტანილ სარჩელებზე კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული რაიმე ვადა.

1. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლება, განსახილველ საქმესთან კონტექსტში.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. უპირველესად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კონსტიტუციის ამ მუხლით დაცული სფერო გაიმიჯნოს კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან. ბუნებრივია, ინფორმაციის მიღება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უფლების ნაწილს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში არსებული რეგულირებისგან. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).

განსახილველი დავა შეეხება, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული/დამუშავებული აქტების ხელმისაწვდომობის საკითხს. აღნიშნული აქტები წარმოადგენს, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის სახელმწიფოში, საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტს. სხვაგვარად, მიგვაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა მართალია, არის გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი, თუმცა მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში დამუშავებული აქტები წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტს ამდენად, აღნიშნულ აქტების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მართლზომიერება შეფასებადია კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით.

2. სადავო ნორმების არსი და უფლების შემზღუდველი სამართლებრივი ბუნების დასაბუთება

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება ხდება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის/მიღების გზით. სასამართლოს გადაწყვეტილებების მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დადგენილი სხვადასხვა საფუძვლები. კონსტიტუციური სარჩელის ამ ნაწილში ჩვენ ყურადღებას

შენიშვნა 5 - გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციის მითითებულ ნორმასთან შეუსაბამობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმის (ნორმების) შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან თხოვთ, ცალ-ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ ეყრდობით საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებს, გთხოვთ მიუთითოთ საქმის დასახელება და გადაწყვეტილების შესაბამისი პარაგრაფი.

გავამახვილებთ, მხოლოდ, სადავო ნორმების მიერ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვის არგუმენტებზე, ხოლო შეზღუდვის მართლზომიერების საკითხზე ვიმსჯელებთ კონსტიტუციური სარჩელის შემდგომ ნაწილში.

აღნიშნული ნორმები ადგენს საჯარო ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის ზოგად წესს პერსონალური მონაცემების დაცვას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დანაწესი მათ შორის მიემართება სასამართლო აქტებს ამდენად, ადგენს პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუცემლობის ზოგად წესს და ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტს.

2.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი და 44-ე მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად “საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.” ხოლო 44-ე მუხლის პირველი ნაწილი იმეორებს ამავე შინაარსს და უშვებს გარკვეულ გამონაკლისს მხოლოდ თანამდებობის პირებთან მიმართებით. ეს ნორმები, ადგენს პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის (სასამართლოს გადაწყვეტილების) გაუცემლობის ზოგად წესს, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით. ამავე კოდექსის 27¹ მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ხოლო აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კანონის მოქმედება ვრცელდება, საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება. აღნიშნული წესიდან გარკვეულ გამონაკლისები გათვალისწინებულია ამავე მუხლი მე-3 პუნქტით, რომლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონის მოქმედება არ ვრცელდება „სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე“. აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს სამართალწარმოების მიზნების დაცვა, ხოლო საჯარო ინფორმაციის სახით მონაცემის გაცემა უშუალოდ სამართალწარმოების მიზნებთან არ არის დაკავშირებული, ამდენად კონკრეტული საპროცესო მოქმედების შემაჯამებელი აქტის გაცემაზე, რომელიც იმავდროულად პერსონალური მონაცემების შემცველია, ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედება. ნორმის ამგვარ განმარტებაზე მიუთითებს, მათ შორის საერთო სასამართლოების პრაქტიკა. *(იხ. დანართი N5. – სხვადასხვა სასამართლოთა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა უარი პერსონალური მონაცემების გაცემაზე).*

სხვაგვარად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი

ნაწილიდან და ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის, მათ შორის, ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლების მოქმედება. აღნიშნული მუხლები პერსონალური მონაცემის კატეგორიის მიხედვითადგენს სხვადასხვაგვარ რეგულირებას/შეზღუდვებს.

2.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ადგენს პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა) დამუშავების ამომწურავ ჩამონათვალს. აღნიშნული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. ამ კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მონაცემთა დამუშავება, მათ შორის, მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებასაც. აღნიშნული ნორმები ქმნის იმგვარ აღქმას, რომ პერსონალური მონაცემი, რომელიც არ არის განსაკუთრებული კატეგორიის (სასამართლოს აქტი, რომელიც არ შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს) შეიძლება გამჟღავნდეს, თუმცა მე-5 მუხლი „ზ“ ქვეპუნქტი მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაზე. კერძოდ, მითითებული დანაწესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული რომელიმე კანონით. მაგ. ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი (თანამდებობის პირების მიმართ დაშვებული გამონაკლისი). ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ნორმა თავდაპირველი წაკითხვით აღმჭურველი შინაარსისა, ვინაიდან იგი ადგენს იმ შემთხვევებს როდესაც შეიძლება დამუშავდეს პერსონალური მონაცემები, აღნიშნული ნორმა აგრეთვე შეიცავს ამკრძალავ წესს, კერძოდ, იგი კრძალავს პერსონალური მონაცემების დამუშავებას ყველა სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ პერსონალური მონაცემის გამჟღავნების ზოგადი წესის დამდგენი ნორმაა.

2.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტი განსაზღვრავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს მიეკუთვნება „მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;“ მე-6

მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი წესის თანხმად ამგვარი მონაცემის დამუშავება არის აკრძალული.

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ამომწურავ საფუძვლებს, სადაც ამგვარი მონაცემის გამჟღავნების (გასაჯაროების ან/და საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის) არცერთი შემთხვევა, არ არის გათვალისწინებული. ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის გამჟღავნების, მესამე პირისთვის გადაცემის აკრძალვის ზოგად წესს და ითვალისწინებს ერთადერთ გამონაკლისს - პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს გარკვეულ გამონაკლისზე თანამდებობის პირებთან მიმართებით, მაგრამ აღნიშნული ნორმა დამოუკიდებლად არ არის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გამჟღავნების თვითკმარი საფუძველი და იგი არ შეეხება მიემართება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს. (იხ. დანართი 6- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები). ამ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი არ მიემართება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს.

სხვაგვარად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, არ არსებობს “განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემის შემცველი სასამართლოს აქტის მოთხოვნის/მიღების საფუძველი.

შეჯამება

სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის არსის ნათლად წარმოსაჩენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიმსჯელოთ დეპერსონალიზაციის (დაშიფრული ფორმით გაცემული) გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმებით ფაქტობრივად საერთოდ არ არის გათვალისწინებული, პერსონალური მონაცემის გამჟღავნების წესი, სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების/გაცემის ერთადერთ გზას წარმოადგეს მათი გაცემა დეპერსონალიზებული ფორმით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად დეპერსონალიზაცია არის „მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს“. სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, თუ მოთხოვნილი გადაწყვეტილებების მისაღებად მხარე იყენებს იდენტიფიცირების ინდივიდუალურ ფორმებს, (მაგ. გადაწყვეტილების მოთხოვნა მხარის მიხედვით, გადაწყვეტილების ნომრის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის მიხედვით და ა.შ.) სასამართლო უარს ამბობს გადაწყვეტილების გაცემაზე დეპერსონალიზაციის შეუძლებლობის გამო ვინაიდან არაპირდაპირი გზით შესაძლებელია გადაწყვეტილებაში დაფარული პერსონალური მონაცემთა სუბიექტის

იდენტიფიცირება.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს გარკვეული სახის პერსონალურ ინფორმაციას, ჩვენ ვიღებთ ზოგად წესს, რომლის თანახმადაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული პერსონალური ინფორმაცია არის დახურული და, ამასთან, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ფაქტობრივად არცერთ გარემოებას, რითაც პერსონალური მონაცემების დაცვას, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება.

2. სასარჩელო მოთხოვნის შინაარსობრივი მოცულობა (პრობლემური ნორმატიული შინაარსი) და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის დასაბუთება.

სადავო ნორმების მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე, რომელიც ამუშავებს პერსონალური მონაცემების შემცველ საჯარო ინფორმაციას. სასარჩელო მოთხოვნა შეეხება, მხოლოდ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში დამუშავებული (შუალედური თუ საბოლოო) აქტების ხელმისაწვდომობის საკითხს.

მიგვაჩნია, რომ ღია სასამართლო სხდომების შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე, წარმოადგენს კონსტიტუციის მოთხოვნას, აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის სადავო რეგულირება არაკონსტიტუციურია ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

1.1. ღია სასამართლო სხდომების შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა კონსტიტუციის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.“ საქართველოს კონსტიტუციის ეს ნორმა განამტკიცებს სასამართლოს სხდომების საჯაროობის პრინციპს.

საჯარო სხდომა და სასამართლოს გადაწყვეტილება ტექნიკური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავებული მოცემულობაა. თუმცა ეს სხვაობა, თავისთავად, სასამართლო სხდომებისა საჯაროობისა და საჯარო სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის მიმართ განსხვავებული რეგულირების არსებობის გამამართლებელი არგუმენტი ვერ იქნება. ამდენად, სხდომის საჯაროობისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება უნდა განისაზღვროს მათი მატერიალური ბუნების გათვალისწინებით, კერძოდ, ლეგიტიმური მიზნებით, რომელთა მიღწევასაც აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტები ემსახურება,

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინტერესები, რომლებიც აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იზღუდება, აგრეთვე აღნიშნულ ინტერესთა შეზღუდვის დასაშვები ინტენსივობა და შეზღუდვის წესი.

პირის უფლება სასამართლომ მისი საქმე განიხილოს საჯაროდ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილს და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი, ძირითადი უფლებებისგან დამოუკიდებლად განამტკიცებს სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის ამგვარი რეგულირება მიუთითებს, რომ სხდომის საჯაროობა დამოუკიდებელი კონსტიტუციური სიკეთეა, რომელიც სხდომის საჯაროობას პროცესის მხარის საპროცესო უფლებების მიღმა მატერიალურ შინაარსს ანიჭებს. სხდომების საჯაროობა, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის, აგრეთვე მართლმსაჯულების ხარისხის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა სასამართლოსადმი ნდობის და მისი ანგარიშვალდებულების უმთავრესი წინაპირობაა.

სხდომის საჯაროობა თავის თავში მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვას. კერძოდ, საჯარო სხდომის შედეგად შესაძლოა გამჟღავნდეს კონსტიტუციის სხვადასხვა უფლებებით ანდა უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური ინტერესებს მიკუთვნებული ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები ვინაიდან სხდომის საჯაროობა წარმოუდგენელი იქნება პერსონალური მონაცემის გამჟღავნების გარეშე. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს საბოლოო თუ შემაჯამებელი გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ, ამდენად, ზოგიერთი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი თავისთავად არის ღია. (მაგ. ინფორმაცია ნასამართლეობის, ან პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე).

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ სხდომის საჯაროობა, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საკუთარ თავში მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვის საჭიროებას/დასაშვებობას. აქედან გამომდინარე ჩვენ მნიშვნელოვნად, მიგვაჩნია მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო სხდომაზე შეზღუდული უფლებების ინტენსივობის ნორმატიული ანალიზი.

საჯარო სხდომაზე სასამართლოს განხილვისას ხდება ყველა იმ არგუმენტის, ინფორმაციის გამორკვევა, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება, მეტიც, როგორც წესი, სასამართლოს სხდომაზე მჟღავნდება ბევრად მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს არის ასახული შემაჯამებელ აქტში. ამ ფონზე ჩვენთვის ბუნდოვანია, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის სასარგებლოდ დადგენილი კონსტიტუციური ბალანსის, შეზღუდული განმარტება და სასამართლოს აქტების მიღმა დატოვება. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად საქმის განხილვა არის ღია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის საჯარო განხილვა წარმოუდგენელია გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, გონივრული იქნება ვიფიქროთ, კონსტიტუცია საქმის

განხილვის ზოგადი წესის პარალელურად, ადგენს სასამართლოს სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაციის საჯაროობას თუ არ არსებობს აღნიშნული ინფორმაციის დაფარვის მომეტებული ინტერესი. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის საჯაროობას და მართლმსაჯულების გამჭვირვალობას კონსტიტუცია არ ანიჭებს უპირობო უპირატესობას. კერძოდ, იგი ითვალისწინებს აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხდომის დახურვის სახით.

სასამართლოში საქმის განხილვა შესაძლოა გაიმართოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და ბუნებრივია, რიგ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს სხდომის დახურვის მომეტებული ინტერესი. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სხდომის დახურვის საფუძველი შეიძლება გახდეს, ყველა ის სიკეთე რაც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვა, საგადასახადო, სახელმწიფო, კომერციული საიდუმლოება. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია ადგენს ბალანსის მექანიზმს მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და სხვა კონფლიქტურ ინტერესებს შორის. აღნიშნულს მოსამართლე ამოწმებს საქმის განხილვისას, და ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებებს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ან რომელიმე სხვა კონფლიქტური ინტერესის სასარგებლოდ.

საქართველოს კონსტიტუციის მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა მიზნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში დამუშავებული (პერსონალური) ინფორმაციის საჯაროობის ზოგად წესს. ბუნებრივია ეს უფლება არ არის აბსოლუტური და კონსტიტუცია უშვებს ამ ინტერესის შეზღუდვას სხდომის დახურვის სახით, რა დროსაც, მოსამართლოს ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას რომელ ინტერესს უნდა მიაწიოს უპირატესობა. ამის პარალელურად, სადავო ნორმებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ ინდივიდუალური საქმის განხილვისას, შეიძლება არ ჩათვალოს საჭიროდ სხდომის დახურვა და უპირატესობა მიაწიოს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის კონსტიტუციურ ინტერესს, არსებული ღია სასამართლოს სხდომის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების, და ამ გადაწყვეტილებაში მითითებული პერსონალური მონაცემების გაუცემლობის ზოგად, და ფაქტობრივად აბსოლუტურ წესს რაც ჩვენი აზრით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

1.2. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვისთანაზომიერება.

ეს მოთხოვნა, არგუმენტაცია წინა (3.1.) პარაგრაფში მოცემულ არგუმენტაციასთან მიმართებით, სუბსიდიურია (ალტერნატიულია) საჯარო სხდომების შედეგად მიღებული

გადაწყვეტილებების ნაწილში. კერძოდ, თუ სასამართლოს მიიჩნევს, რომ საჯარო სხდომების შედეგად მიღებული აქტის საჯაროობა დეპერსონალიზაციის გარეშე არ წარმოადგენს კონსტიტუციურ გადაწყვეტას.

უპირველესად ყურადღებას გავამახვილებთ, ლეგიტიმურ მიზანზე. ვფიქრობთ, სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა, ემსახურება, ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვას. ამდენად, ამ სიკეთის გამო, ზოგადად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია.

სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით. აღსანიშნავია, რომ ეს პუნქტი იმავდროულად განსაზღვრავს სასამართლოს აქტების მიღების უფლების შეზღუდვის წინაპირობებს, სახელმწიფო, საგადასახადო ან/და კომერციული საიდუმლოება. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს ადამიანის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ხელშეუხებლობის უფლებას. ყოველი დასახელებული სიკეთე, პოტენციურად კონფლიქტში მოდის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის (სასამართლოს აქტების მიღების) უფლებასთან, ამასთან არცერთი მათგანი არ არის აბსოლუტური. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აქტების მიღების უფლების შეზღუდვა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმისთვის რომ შეზღუდვამ დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნები საჭიროა იგი არამხოლოდ ემსახურებოდეს ღირებულ ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არამედ უნდა იყოს აღნიშნული მიზნის მიღწევის გამოსადეგი (ვარგისი), აუცილებელი და პროპორციული საშუალება.

როგორც ზემოთ აღნიშნა კონსტიტუციის ზოგადი წესის თანახმად სასამართლოს სხდომები არის საჯარო, ხოლო საჯარო სხდომაზე მეტი ინტენსივობით მქლავნდება პერსონალური მონაცემები ვიდრე ეს გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით. აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლი ადგენს სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების სტანდარტებს. კერძოდ მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა. ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა. ამასთან აღნიშნული ჩანაწერის გავრცელებაზე საქართველოს კანონმდებლობით რაიმე სახის შეზღუდვა დადგენილი არ არის.

სხვაგვარად, ღია სასამართლოს სხდომაში მონაწილე პირებს, ვერ ექნებათ პერსონალური მონაცემების დაცვის გონივრული ლეგიტიმური მოლოდინი. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე [CASE OF MAGYAR HELSINKI BIZOTTSÁG v. HUNGARY](#). ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა სახელმწიფოს მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაუცემლობის გამო და აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტებს (განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა ადვოკატების სახელებს და მათ მიერ პოლიციის შენობებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას) ვერ ექნებათ სამსახურეობრივი საქმიანობის ფარგლებში გამჟღავნებული პერსონალური მონაცემების დაცვის გონივრული მოლოდინი ვინაიდან არსებობდა იგივე ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამჟღავნების რისკი, ამ თვალსაზრისით, სასამართლომ მიუთითა, მათ შორის, სასამართლოს საქმეთა განხილვის განრიგზე, აგრეთვე ღია სასამართლოს სხდომებზე. (par. 194-195).

ცხადია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ღია სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაცია ისედაც ხელმისაწვდომია. და პირს ვერ ექნება საჯაროდ ცნობილი ინფორმაციის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი. ამდენად, საჯარო სხდომები გადაწყვეტილებაში არსებული, მაგრამ უკვე გამჟღავნებული ინფორმაციის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა ვფიქრობთ მიზნის მიღწევის უვარგისი საშუალებაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პერსონალური მონაცემების დაცვა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, მიუხედავად ამისა სადავო ნორმების მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით, მას ენიჭება აბსოლუტური უპირატესობა. მაგალითისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სადავო ნორმები, კრძალავს გადაწყვეტილებებში არსებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების (უფლების შეზღუდვის გზით) გამჟღავნების ყოველგვარ შესაძლებლობას. ამდენად, ჩვენ ვერ ვახერხებთ მივიღოთ სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ ისეთ საქმეებზე, როგორცაა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების ასლები.

მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებულ აქტები სახელმწიფოში მართლმსაჯულების საერთო მდგომარეობის, ისევე როგორც ინდივიდუალურ გადაწყვეტების მართლზომიერების შეფასების მთავარი კრიტერიუმია. აღნიშნული აქტების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია გამჭვირვალობასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდას, ახდენს სხვადასხვა რისკების პრევენციას. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, არამხოლოდ სასამართლოს პრაქტიკის ზოგადი განვითარება, არამედ ინდივიდუალური გადაწყვეტები, განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებთან მიმართებით.

წარმოდგენილი არგუმენტაციიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმები ვერ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და ისინი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი. .

ვფიქრობთ, მოქმედი სამართლებრივი წესრიგი, უგულებელყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლებას და ადგენს არათანაზომიერ, არაპროპორციულ ბალანსს კონფლიქტურ ინტერსებს შორის, რაც შეუთავსებელია საქართველოს კონსტიტუცი 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.

III. შუამდგომლობები [შენიშვნა 6](#)

ა. შუამდგომლობა (შუამდგომლობები) მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე. [შენიშვნა 7](#)

ბ. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. [შენიშვნა 8](#)

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის შუამდგომლობები. [შენიშვნა 9](#)

შენიშვნა 6 - მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა საქმეზე მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე; არსებითი განხილვის ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების შესახებ; სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე და სხვ.

შენიშვნა 7 - დასაბუთებაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რატომ იწვევთ შესაბამის მოწმეს, ექსპერტს ან/და სპეციალისტს და განსახილველი საქმის გადასაწყვეტად რა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლიათ მათ. (ქვემოთ მოყვანილ ველში, გთხოვთ, მიუთითოთ ვისი მოწვევა გასურთ – მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის, ხოლო შემდეგ მათი ვინაობა, პროფესია, სამუშაო ადგილი და საკონტაქტო ინფორმაცია).

შენიშვნა 8 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოუდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

IV. თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სავალდებულოა ერთვოდეს სარჩელს (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- | | |
|---|-------------------------------------|
| 1. სადავონორმატიულიაქტისტექსტი. | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. მოსარჩელისწარმომადგენლის (წარმომადგენელთა) უფლებამოსილების დამადასტურებელიდოკუმენტი. | <input checked="" type="checkbox"/> |
| 3. სახელმწიფოაქტისგადახდისდამადასტურებელიდოკუმენტი. | <input checked="" type="checkbox"/> |
| 4. კონსტიტუციურისარჩელისელექტრონულივერსია. | <input checked="" type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება
2. საერთო სასამართლოების პასუხები პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

საკონსტიტუციოსამართალწარმოებისმონაწილენიმოვალენიარიაან,კეთილსინდისიერადგამოიყენონთავიანთიუფლებები.

საკონსტიტუციოსასამართლოსათვისწინასწარიშეცნობითყალბიცილობებისმიწოდებაიწვევსკანონითგათვალისწინებულპასუხისმგებლობას („საკონსტიტუციოსამართალწარმოებისშესახებ“ საქართველოსკანონისმე-14 მუხლი)

მოსარჩელის ხელმოწერა:

თარიღი: 15 ნოემბერი, 2016